დამტკიცებულია რექტორის საბჭოს 2025 წლის 28 ივლისის N 16/25 ოქმით

საქართველოს უნივერსიტეტის ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლის რეზიდენტურის სამსახურის დებულება

საქართველოს უნივერსიტეტის ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლის რეზიდენტურის სამსახური / შემდეგში „რეზიდენტურის სამსახური“ წარმოადგნეს სკოლის სტრუქტურულ ერთეულს, ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც არის აკადემიური პერსონალი, ინიშნება რექტორის მიერ კონკურსის საფუძველზე ან უშუალოდ სკოლის დირექტორის წარდგინებით შიდა სასკოლო ადამიანური რესურსიდან, რომელიც აკმაყოფილებს მაღალ აკადემიურ მოთხოვნებს და აქვს კლინიკური საქმიანობის პრაქტიკა.

რეზიდენტურის სამსახური განსაზღვრას სარეზიდენტო პროგრამირების ნუსხას.

საქართველოს უნივერსიტეტის ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლის რეზიდენტურის სამსახურის ფორმირების მიზანია, მოახდინოს განსაზღვრული სარეზიდენტო პროგრამების ფორმირება საუნივერსიტეტო ბაზებზე, აწარმოოს გაუმჯობესების ხელშეწყობა და განხორციელება მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში.

სამედიცინო საქმიანობის შესაბამისი კვალიფიკაციების მისანიჭებლად დიპლომირებულმა მედიკოსებმა, სტომატოლოგებმა უნდა მოახდინონ რეზიდენტურაში სწავლება-პრაქტიკული საქმიანობის განხორციელება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სარეზიდენტო პროგრამების შესაბამისად.

რეზიდენტურის სამსახურის ადამიანური რესურსს წარმოადგნეს სარეზიდენტო პროგრამის ფარგლებში მოქმედი სამედიცინო პერსონალი როგორც პრაქტიკოსი, ასევე აკადემიური სტატუსით. რეზიდენტურას ყავს პროგრამების მენეჯერი, რომელიც ხელმძღვანელის დავალებით აწარმოებს ადმინისტრირებისა და მართვის ოპერაციულ სამუშაოებს რეზიდენტურის ბაზებთან, პედაგოგებთან და ახორციელებს მონიტორინგს ხელმძღვანელის ჩართულობით. ადამიანური რესურის სტრუქტურა მოიცავს უშუალოდ სარეზიდენტო პროგრამის ხელმძღვანელებს, რომლებიც ვალდებულნი არიან მოამზადონ პროგრამული სამუშაოების პერიოდული ანგარიშები და წარმოადგინონ რეზიდენტურის სამსახურის ხელმძღვანელთან.

რეზიდენტურის სამსახურის ხელმძღვანელი წარმოადგნეს უნივერსიტეტის, ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლას საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო, პროფესიულ ფორუმებზე, უფლებამოსილია აწარმოოს მოლაპრაკებები ბაზების გაძლიერებისა, პროფესიული განვითარებისა და სამსახურის სტრატეგიული განვითარების მიმართულებით; აქტიურად თანამშროლობს სკოლის სტრუქტურულ ერთეულებთან. რეზიდენტურის სამსახურის წლიური სამუშაო გეგმები მტკიცდება სკოლის საბჭოზე, რეზიდენტურის სამსახურის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია სკოლის დირექტორისა და რექტორის წინაშე.

რეზიდენტურის სამსახურის ბიუჯეტი

რეზიდენტურის სამსახურს აქვს შემოსავლები სარეზიდენტო პროგრამებიდან, საგრანტო თუ საერთაშორისო პროექტებიდან და სხვა ნებადართული საქმიანობიდან / პროფესიული მზადების პროექტები და სხვა. პროგრამული ფასების დადგენა ხდება სკოლის საბჭოზე საუნივერსიტეტო დონეზე შესაბამისი პრორექტორისა და რექტორთან შეთანხმებით.